სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 438

(ოქმი № 395)

თბილისი 2018 წლის 13 დეკემბერი

ფიზიკური პირის ნიკოლოზ ოდიკაძის საჩივრის
განხილვაზე უარის თქმის შესახებ

2018 წლის 16 ნოემბერს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს/სამეურვეო საბჭოს საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა ნიკოლოზ ოდიკაძემ.
ნ. ოდიკაძემ საჩივრით მოითხოვა სააპელაციო ორგანომ/სამეურვეო საბჭომ აღიაროს დაინტერესებულ მხარედ და დაავალოს თვითრეგულირების კომისიას მისი განცხადების განხილვა, რომელიც ნ. ოდიკაძის მიერ სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 2 ნოემბერს და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის 09.11.2018წ. დასკვნის და აღნიშნული დასკვნის საფუძველზე გენერალური დირექტორის 09.11.2018წ. გადაწყვეტილებით განუხილველად იქნა დატოვებული.

"სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესის შესახებ" სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2009 წლის 5 ოქტომბრის №64 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად

1. ფიზიკურ პირს ნიკოლოზ ოდიკაძეს უარი ეთქვას სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა და სასამართლოში ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში არ საჩივრდება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ქეთევან მსხილაძე

ნინო-ნინია კაკაბაძე

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

ზაზა შათირიშვილი

გიორგი იაკობაშვილი